აგრობიზნესის რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალი საქართველოში

გიორგი თეთრაძე
სტუ დოქტორანტი
E-mail: paata_koguashvili@hotmail.com

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში ავტორი განიხილავს ქვეყნის რესურსულ და ტექნოლოგიურ პოტენციალს და მათთან დაკავშირებულ არსებულ პრობლემატიკას. არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება არის ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა გარანტი. მის მიერ წარმოჩენილია არსებული რესურსების ვარიაციები და შემოთავაზებულია მისი ეფექტურად გამოყენების მექანიზმები. მრავალმხრივი ანალიზისა და უცხოური გამოცდილების ფონზე შემოთავაზებულია მათი რაციონალურად გამოყენების გზები.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სექტორი, ეფექტური, ფერმერი, დაგეგმარება, აგრობიზნესი, კონტროლი.

საქართველოში აგრობიზნესის სრულფასოვანი განვითარებისა და სწორი აგრარული პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში ქვეყანას შესწევს უნარი სრულად დააკმაყოფილოს ქვეყნის შიდა მოხმარება სურსათით და გაიტანოს ექპორტზე წარმოებული პროდუქციაც კი. "ფაო"-ს მონაცემებით ქვეყანას აქვს პოტენციალი უზრუნველყოს 10-12 მლნ ადამიანის სასურსათო უსაფრთხოება.

საქართველოში უახლოეს მომავალში გადასაჭრელი პრობლემებიდან უპირველესია სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა. მისი გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. მასში მოიაზრება ქვეყნის უნარი (საშუალება) უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობა კვების ძირითადი პროდუქტებით, ადგილობრივი რესურსების წარმოების ხარჯზე. დღეისათვის ამ პრობლემისადმი ქვეყანაში დამკვიდრებული დამოკიდებულება და მისი რაოდენობრივ ხარისხოვრივი მახასიეთებლების არსებული პარამეტრები, არა მარტო საფრთხეს უქმნის ფიზიოლოგიური ნორმებით საქართველოს მოსახლეობის გამოკვებას, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავს ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში და მთლიანობაში საფრთხის ქვეშ აყენებს ქართული სახელმწიფობრიობის განვითარების პერსპექტივას.

საინფორმაციო-სამეცნიერო გამოცემა "ახალი აგრარული საქართველო"-ს 2016 წლის თებერვლის თვის სტატიაში ბ-ნი პაატა კოღუაშვილი თანაავტორებთან ერთად მიმოიხილავს თემას სახელწოდებით "მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა საქართველოში". სტატია იწყება მსოფლიო სასურსათო უსაფრთხოების კომიტეტის განმარტებით: "სასურსათო უსაფრთხოება არის ნებისმიერ დროს თითოეული ადამიანის ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური წვდომა საკმარისი რაოდენობის უსაფ-რთხო და ხარისხიან საკვებზე, რომელიც საშუალებას იძლევა დაკმაყოფილდეს საკვებზე მისი მოთხოვნები ჯანმრთელი და აქტიური ცხოვრების წესის წარმართვისათვის".

სტატიაში საუბარია 4 ძირითად კომპონენტზე, რაც აუცილებელია განა-ხორციელოს სახელმწიფომ:

1. მოსახლების უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის სურსათით.
2. მოსახლების უზრუნველყოგა სრულფასოვანი, ბალანსირებული სურსათით.
3. მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი სურსათით
4. მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათით.

მოცემული საკითხების მოგვარება მოითხოვს არა მხოლოდ აგრარული სექტორის გამართულ ფუნქციონირებას, არამედ მთელი რიგი ეკონომიკურ, სოციალურ და ფისკალური ფაქტორების დასტაბილურებას, რადგან სასურსათო უშიშროება მეტად კომპლექსური საკითხია არა მხოლოდ განვითარებად არამედ განვითარებულ ქვეყნებშიც.

ჩვენი ქვეყნისთვის აგრარული სექტორის ამ პრობლემის აქრუალურობას აძლიერებს საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციები. სურსათზე ფასების ზრდის დინამიკა, ეროვნული სასურსათო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა და ექსპორტ-იმპორტის ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომელიც არსებითად დიდი ოდენობის სურსათის იმპორტითაა განპირობებული (ცნობისათვის, 2012 წელს საქართველოში იმპორტირებულ იქნა 1,1 მლრდ აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, ხოლო ექსპორტმა მხოლოდ 443 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საყურადღებოა, რომ იგივე მაჩვენებლები 2003 წელს 171 და 163 მლნ. აშშ დოლარი იყო).

მართალია, ეროვნული სასურსათო უშიშროება დაფუძნებულია საკუთარი წარმოების კვების ძირითადი პროდუქტებით მოსახლეობის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს სურსათის იმპორტზე საერთოდ უარის თქმას, რომლის გადიდება როგორც წესი იწვევს ადგილობრივი წარმოების კონკურენციის დონის ამაღლებასა და სურსათით თვითუზრუნველყოფის დონის შემცირებას. ამიტომაა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნები ხელმძღვანელობდნენ კონკურენტული უპირატესობის კანონმდებლობის მოთხოვნებით, დასაშვებად მიიჩნევენ სამამულო ბაზარზე სურსათის იმპორტს 15-20%-ის ფარგლებში. ამ პირობებში არც ეკონომიკური სარგებლის მიღების შანსი იკარგება და არც კონკურენცია სუსტდება სამამულო საქონელმწარმოებელთა შორის. ამათან, საფრთხე არ ემუქრება არც ეკონომიკურ და არც სასურსათო დამოუკიდებლობას.

დღეს უკვე აღარ კამათობენ იმ ბანალურ ჭეშმარიტებაზე, რომ მიწის რესურსების მეტნაკლებად მქონე ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურსათო უშიშროების მიღწევა აგროსასურსათო სექტორის განვითარებაზეა დამოკიდებული.

როგორც თავში აღინიშნა, ქვეყანას აქვს ის რესურსული პოტენციალი, რომლის ოპტიმალური ამოქმედების შემთხვევაში იგი უზრუნველყოფს საკუთარი სასურსათო უსაფრთხოებას.

რაც შეეხება ტექნოლოგიურ პოტენციალს, ამასთან დაკავშირებით დიდი როლი ითამაშა შედავათიანი აგრო სესხის უპირობო პირობამ. კერძოდ, ყოველი დაფინანსებული ახალი პროექტი (საინვესტიციო), სავალდებულოა განხორციელდეს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის გზით, რაც გააუმჯობესებს სურსათის შენახვას გრძელვადიან პერსპექტივაში (სამაცივრე საწყობები და სხვ.). ანუ სააგენტო ავალდებულებს ფერმერს, დააგეგმაროს საწარმოო ძირითადი საშუალებების გადაიარაღება თანამედროვე ტექნოლოგიებით. მოცემულ პროექტის შესრულებას კონტროლს უწევს სააგენტო.

ბიზნესის წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რესურსების ეფექტურ გამოყენებას. აგრობიზნესმენის ხელში იმყოფება მიწის, კაპიტალის, ფულადი და ადამიანური რესურსების გარკვეული, ზღვრული რაოდენობა, მარაგი.

რესურსების შეზღუდულობით გამოირჩევიან მომხმარებლებიც და მწარ-მოებლებიც. ამიტომ, მათ წინაშე ყოველთვის დგება ეკონომიკური არჩევანის პრობლემა, მუდმივად წარმოიქმნება ალტერნატიული არჩევანის შესაძლებლობა.

აგრობიზნესის პოტენციალის ქვეშ იგულისხმება რისიმე განხორციელე-ბისათვის საჭირო შესაძლებლობათა ერთობლიობა.

მეცნიერულ ლიტერატურაში გამოყოფენ:

1. ეკონომიკურ პოტენციალს, რომელშიც იგულისხმება საწარმოებში თავმოყრილი რესურსების: მიწის, წყლის, შრომითი რესურსები, კაპიტალი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, ბიოლოგიური აქტივები, ძირითადი და საბრუნავი საშუალებები.

2. რესურსული პოტენციალი, იგი რთული და მრავალმხრივია. მისი ერთი ნაწილი შედის ეკონომიკურ პოტენციალში, მეორე ? საწარმოო პოტენციალში, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ათვისებული და გამოყენებული, რესურსულ პოტენციალს შეადგენს.

რესურსები მრავალი სახისაა და მათ ხუთ კატეგორიად ყოფენ:

1. ბუნებრივი რესურსები

ეს არის ის საფუძველი, რომელზედაც წარმოების პროცესია დაფუძნებული. აქ, უპირველეს ყოვლისა, შედის მიწა და სარწყავი წყლის მარაგები;

2. ბიოლოგიური რესურსები

მასში შედის მცენარეთა და ცხოველთა მთელი სამყარო, რომელიც, თავის მხრივ, მრავალ ჯგუფს, გვარს, სახეს და ჯიშს მოიცავს - უხვმოსავლიანი სახე-ები და მაღალპროდუქციული ჯიშები, მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლის შესაძლებლობები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის მიღწევის დონე, ქიმიურ საშუალებათა მარაგები, ბიოლოგიური მეთოდების და ბიოენერგიის გამომუშავების საშუალებებს და სხვა.

3. შრომითი რესურსები

სოფლის მეურნეობაში იგი წარმოების ძირითადი სამუშაო ძალის გამოყენების საშუალებას წარმოადგენს. დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ

რამდენადაა შესაძლებელი მასში მოსახლეობის აქტიური ნაწილის ჩართვა-გამოყენების შესაძლებლობა.

4. წარმოების საშუალებები

ა) წარმოების ძირითადი საშუალებები

ეს არის შრომის საშუალებებიც და შრომის საგანიც. ანუ, მის ქვეშ იგულისხმება შეიარაღების ერთობლიობა, რომელიც რამდენიმე ჯგუფად იყოფა. მასში გაერთიანებულია შენობა-ნაგებობები, ძრავები, მოწყობილობები, დანადგარები, მრავალწლიანი ნარგავები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, ფრინ-ველი და ფუტკარი.

ბ) წარმოების საბრუნავი საშუალებები

ამ რესურსში გაერთიანებულია წარმოების შეწყვეტილი ციკლის უზრუნველსაყოფად საჭირო საშუალებები, რომლებიც ერთი ციკლის განმავლობაში ახლად შექმნილი პროდუქციის გადასაცემად ღებულობს. მასში შედის ყველა

სახის ნედლეული, სამშენებლო მასალები, თესლი, სარგავი მასალა, ფუ-რაჟი, საწვავ-საცხები, მინერალური და ორგანული სასუქები, შხამ-ქიმიკატები, ზოოვეტერინალური მედიკამენტები და ა.შ.

5. საწარმოო პოტენციალი

იგი უფრო ფართო მცნებაა. მის ქვეშ იგულისხმება რთული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, რომელიც მოიცავს ეკონომიკური და რესურსული პოტენციალის საქონლისა და მომსახურების სფეროებში აქტიურად ჩაბმულ ნაწილს.

სოფლის მეურნეობაში რესურსული პოტენციალის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენს მიწა, ხოლო ეკონომიკურის - მასზე გაწეული კაპიტალდაბანდებები, რაც ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას და შესაბამისად, პროდუქციის სიუხვესაც. ორივე სახე ურთიერთდაკავშირებული რესურსების ერთობლიობად განიხილება, რომელთა გამოყენებითაც ვაღწევთ სამეურნეო შედეგს.

დასკვნის მაგიერ.

რესურსული და ტექნოლოგიური პროცესი აგრარულ სექტორში უმთავრეს როლს თამაშობს. დღევანდელ მსოფლიოში ტექნოლოგიური პოტენციალის გარეშე ძნელია იყო კონკურენტუნარიანი, როგორც წარმოების მოცულობის, პროდუქციის ხარისხის თვალსაზრისით. განვითარებული ქვეყნების მაგალითზე ხელი უნდა შეეწყოს ტექნოლოგიური პროცესების განვითარებას ქვეყნის შიგნით და ეს პროცესი უნდა იყოს შეუქცევადი. სამწუხაროდ ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის ტექნოლოგიური პოტენციალი მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. ქართველი ფერმერი იძულებულია მოიძიოს ის საჭირო ძირითადი საშუალებები ქვეყნის გარეთ. აუცილებელია მოხდეს ქვეყნის ტექნოლოგიური პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა, რათა ეს უკანასკნელი პირდაპირ კავშირშია აგრობიზნესის განვითარებისა.

რაც შეეხება რესურსული პოტენციალს, უნდა შეიქმნას ძირითადი საწარმოო ფაქტორთა მონაცემთა ბაზა, როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღრიცხვა დივერსიფიცირება და დახარისხება (ვარგისი სავარგულები; დეგრადირებული სავარგულები და სხვ.), უმთავრესია განისაზღვროს შრომითი რესურსი რეგიონებში, რა რაოდენობის აქტიური ფერმერია, რა რაოდენობის პოტენციური და ა. შ.

მოცემული რესურსები უნდა იქნას აღრიცხული, დახარისხებული, რათა მოხდეს შემდგომ მათი რაციონალური გამოყენება და მართვა, რაც შემდგომში გამოააშკარავებს თუ რა სახის ქმედებაა განსახორციელებელი ამა თუ იმ რეგიონში.

REFERENCES

1. Koguashvili P., Observation of food safety practices is the first responsibility of the Government. Social economy - of the 21st century. #5, 2013.

2. Koguashvili P., Georgian village capacity. Journal "Economics and Business". #3, 2014. pp. 43-46.

3. Koghuashvili P., Zibzibadze G., Economy of Farming; Publishment of Tbilisi university; Tbilisi - 2010.

4. Koghuashvili P., Zibzibadze G., Economy of Agrarian Enterprise.

RESOURCES AND TECHNOLOGICAL POTENTIAL OF AGRIBUSINESS IN GEORGIA

GIORGI TETRADZE
E-mail: paata_koguashvili@hotmail.com

Summary

In this work the author discusses potential of resources and technology of country and reviews existing problematic. The rational usage of existing resources is the guaranty of Food safety of country. The author listed the variation of resources and offers mechanisms of effective usage of existing resources. Underlie of Annalise and experience of foreign countries, there are some suggestions of rational ways of usage of resources.

Key words: agrarian sector, effectiveness, farmer, planning, agribusiness, control.